

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი/PhD in Business Administration
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3-5 წელი (6-10 სემესტრი) - 180 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 23/06/2009 ოქმი# 32 (გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის პროგრამა ექვემდებარება განახლებას).
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<ul style="list-style-type: none"> ● მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში ან სხვა მიმართულებით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. სხვა მიმართულებით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება 7 წლიანი მენეჯერული გამოცდილება ან GMAT (ქულა -მინიმუმ 550); ● სადოქტორო კვლევითი განაცხადი; ● ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე, რაც დადასტურებულია: <ul style="list-style-type: none"> ა) ინგლისურ ენაში წარმატებით ჩაბარებული საუნივერსიტეტო გამოცდით ან ბ) C1 დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი ერთ-ერთი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარების შედეგად მიღებული სერტიფიკატით: <ul style="list-style-type: none"> ● კემბრიჯის გამოცდები: IELTS – Bands 7-8; CAE - Grades B and C; FCE - Grade A; CPE - Grade C; BEC Vantage - Grade A; BEC Higher - Grades B and C; ILEC - C1 and C1 with Merit ● TOEFL: iBT 94-110; PBT 587-637; CBT 240-270 ● Pearson tests: PTE General level - 4 76-84; PTE Academic 75 overall ● TOEIC ETS® Educational testing Service - score 880 ● BULATS 75-90 ან გ) ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით (დიპლომის ნამდვილობა უნდა იყოს შესაბამისად დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ); ● შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. 	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია, მოამზადოს ახალი თაობის პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ უნარი, განახორციელონ თანამედროვე, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ორიგინალური, ინოვაციური კვლევები ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალურ სფეროში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ცოდნის არსებული ფარგლების გაფართოების მიზნით და ჩაერთონ სწავლების პროცესში კვლევის და სწავლების ეფექტური</p>	

ინტეგრაციისთვის.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის/საკითხის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- კურსდამთავრებულს აქვს საკვლევი პრობლემატიკისათვის/საკითხისათვის რელევანტური კვლევის უახლესი, ინოვაციური მეთოდების ცოდნა.
- კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის/საკითხის შესახებ ცოდნის განახლებულ ფარგლებს არსებული ცოდნის ხელახლა გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემის/საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება რელევანტურ, უახლეს და სანდო ლიტერატურაზე/წყაროებზე დაყრდნობით;
- საკვლევ პრობლემასთან/საკითხთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის ანალიზი და სისტემატიზაცია;
- საკვლევი სფეროს შესაბამისი ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებითა და გამოყენებით ახალი ცოდნის შექმნა;
- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა.
- ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურება სამეცნიერო პუბლიკაციებში;
- აკადემიური საქმიანობისას სასწავლო კონტექსტის შესაბამისად სწავლების და შეფასების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა და გამოყენება; მცირე თუ დიდი აუდიტორიის ეფექტური მართვა.

დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შერჩეული საკვლევი პრობლემატიკის/საკითხის შესწავლის თანამედროვე კონცეფციების, მიდგომების კრიტიკული და თანმიმდევრული ანალიზი, სინთეზი და შეფასება შერჩეული საკითხის/პრობლემატიკის კვლევის ინოვაციური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით;
- კვლევის შედეგების საფუძველზე შერჩეული საკითხის/პრობლემატიკის შესახებ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შერჩეული პრობლემის/საკითხის კვლევის მიზნით სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ დისკუსიის ჩართვა, რაც გამოიხატება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებითა და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობით.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული:

- ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე;
- მზადაა, საკვლევი პრობლემის/საკითხის შესახებ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, განავითაროს კვლევის შემდგომი პროცესები, ახალი იდეები;
- ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს კვლევისა და სწავლების პროცესში.

ღირებულებები

კურსდამთავრებული:

- კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს;
- იცავს აკადემიური პატიოსნების პრინციპებს, პატივს სცემს კოლეგების აზრს.
- მზადაა ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევისათვის და ამისთვის ინოვაციური მეთოდების შემუშავებისათვის.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლისას დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. ასისტირებითა და კვლევითი სემინარის კომპონენტით გათვალისწინებულია მინიმუმ 12-12 კრედიტი, ხოლო მათ მაქსიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს თავად დოქტორანტი საჭიროებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა, კრედიტების გარეშე გაიაროს აღდგენითი კურსი (ე.წ. remedial course) სამაგისტრო საფეხურიდან სტატისტიკის ან კვლევითი მეთოდოლოგიების საკითხებზე.

	სემესტრი										ECTS	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
კომპონენტები												
სადოქტორო სემინარი 1												6
სადოქტორო სემინარი 2												6
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში												6
ასისტირება*												12
კვლევითი სემინარი												12
Qualitative Data Analysis with NVivo ** პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში												6
Writing for Academic Publication***												6
სადოქტორო ნაშრომი****												120

*სწავლების ასისტირება შესაძლებელია შესაბამისი აკადემიური კურსის გავლის შემდეგ; კვლევის ასისტირება შესაძლებელია პროსპექტუსის დაცვის შემდეგ.

**კურსი შეირჩევა კვლევის პროსპექტუსის საფუძველზე. კურსის არჩევის დროისთვის დოქტორანტი უნდა იყოს მზად გაანალიზოს საკუთარი კვლევის მონაცემები.

***დოქტორანტს უნდა ჰქონდეს დაცული პროსპექტუსი და უნდა ჰქონდეს მზად საკუთარი კვლევის შედეგები.

****სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.

სადოქტორო პროგრამა იწყება **სადოქტორო სემინარების** (სულ - 12 კრედიტი) სერიით. თითოეული სემინარი 6 კრედიტანია. სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში წარდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტის საფუძველზე. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტურ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებულ უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის

მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;

- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და აყალიბებენ კვლევის მეთოდოლოგიას (კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის კონსულტირებას უწევენ პროგრამაში ჩართული მეთოდოლოგიური კურსების პროფესორები/ლექტორები);
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და აყალიბებენ კვლევის გეგმას.

სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით დოქტორანტის მიერ სწავლის მეორე სემესტრის ბოლოს. დოქტორანტი იცავს პროსპექტუსს დარგობრივი კომისიის წინაშე. დეტალური ინფორმაცია სადოქტორო სემინარების შესახებ მოცემულია **სადოქტორო სემინარების კონცეფციაში**.

პროსპექტუსის დაცვის შემდეგ სადოქტორო პროგრამა გრძელდება **კვლევითი სემინარების** სერიით. თითოეული სემინარი 6 კრედიტანია. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე დოქტორანტმა უნდა გაიაროს მინიმუმ **2** კვლევითი სემინარი. ერთი კვლევითი სემინარის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი.

კვლევითი სემინარების ფარგლებში დოქტორანტები მუშაობენ პროსპექტუსით გათვალისწინებულ კვლევაზე ხელმძღვანელთან(ელებთან) ერთად, რომლებიც არიან ჩართული სადოქტორო პროგრამაში ან/და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან მომიჯნავე დარგებიდან. კვლევის მიმდინარეობა აისახება დოქტორანტების პროგრესის ანგარიშებში. კვლევითი სემინარების სერიის დასრულების შემდეგ (ყველაზე ადრე მეოთხე და ყველაზე გვიან მეექვსე სემესტრის დასაწყისში). დოქტორანტი უნდა იყოს მზად წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომი. დეტალური ინფორმაცია კვლევითი სემინარების შესახებ მოცემულია **კვლევითი სემინარის კონცეფციაში**.

პუბლიკაცია

სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება შესაბამის სფეროში მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. **სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების** დოკუმენტში.

ასისტირება

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას. დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის/წყაროების მოძიება, კვლევითი ინსტრუმენტების შემუშავება და პილოტირება, მონაცემების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

ასისტირების კომპონენტის შესრულებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსი „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“. კვლევის ასისტირებაში ჩართვამდე კი დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი. ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველსემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა, რომელიც წარედგინება დარგობრივ კომისიას. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მიწიჭება ხდება

შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე. დეტალური ინფორმაცია ასისტორების შესახებ მოცემულია *ასისტორების კონცეფციაში*.

სადოქტორო ნაშრომის წარდგენა და დაცვა

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადისერტაციო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დეტალური ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის წარდგენის და დაცვის შესახებ მოცემულია *სადოქტორო ნაშრომის კონცეფციაში*.

სწავლების მეთოდები

სწავლისას გამოიყენება წერიითი და ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, გონებრივი იერიში, დისკუსია-დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, მოდელირება/სიმულაცია, რეფლექსია, ურთიერთშეფასება, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლის მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- ✓ დარგის შესაბამის აკადემიურ (სასწავლო/კვლევით) ინსტიტუტებში;
- ✓ ბიზნეს-სექტორში და/ან შესაბამისი პროფილის სახელმწიფო დაწესებულებებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა - ილიაუნის „საერთაშორისო სადოქტორო სკოლა“;
- „ფოლცვაგენის“ ფონდის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსება;
- ბიზნესის სკოლის „ბიზნესის კვლევების ცენტრი“;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი;
- ჯანდაცვისა და დაზღვევის ინსტიტუტი;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის მოპოვებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები;
- აკადემიური წერის ცენტრი;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები- ScienceDirect, Scopus, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters), ProQuest, EBSCO; Cambridge Journals, Oxford Journals, Emerald, etc.
- კომპიუტერული ლაბორატორია;
- პროგრამები: NVivo 10; EViews
- Moodle, Turnitin, არგუსი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვილნიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბრემენის უნივერსიტეტთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კენტუკის უნივერსიტეტთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადამ მიცკევიჩის, პოზნანის უნივერსიტეტთან (პოლონეთი);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვარშავის ეკონომიკურ სჯოლასთან (პოლონეთი);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან (ISET).

11. პროგრამაში ჩართული პროფესორები და ლექტორები:

#	სახელი და გვარი	სტატუსი	კურსი
1	ნიკოლოზ ყაველაშვილი	სრული პროფესორი	სადოქტორო ან/და კვლევითი სემინარი
2	ზურაბ ჭიბერაშვილი	სრული პროფესორი	
3	დემეტრი ჯაფარიძე	სრული პროფესორი	
4	გიორგი ხიშტოვანი	ასოცირებული პროფესორი	
5	ნიკოლოზ ქოიავა	ასოცირებული პროფესორი	
6	ნატალია შელეგია	ასოცირებული პროფესორი	
7	თამარ მაღალაშვილი	ასოცირებული პროფესორი	
8	ნინო თანდილაშვილი	ასოცირებული პროფესორი	
9	გიორგი აბაშიშვილი	ასოცირებული პროფესორი	
10	ნინო მახაშვილი	ასოცირებული პროფესორი	
11	მაია როგავა	ასოცირებული პროფესორი	Writing for Academic Publication
12	ნინო პატარაია	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • Qualitative Data Analysis with NVivo • სადოქტორო ან/და კვლევითი სემინარი
13	თეიმურაზ გოგსაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში • დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში • სადოქტორო ან/და კვლევითი სემინარი
14	სოფიკო ლობჯანიძე	ასოცირებული პროფესორი	კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში